პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 ივლისი ხუთშაბათი 1972 წელი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 157 (15370)

საბჭოთა კავშირ-კუბის ერთიანი კომუნიკე

ამხანაგ ფიდელ კასტროს ვიზიტის შესახებ საბჭოთა კავშირში

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეულ 1972 წლის 26 ივნისიდან 5 ივლისამდე საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ამხანაგი ფიდელ კასტრო რუსი, რომელიც მეთაურობდა პარტიისა და მთავრობის დელეგაციას.

ამხანაგი ფიდელ კასტრო და მისი თანმხლები ოფიციალური პირნი გაეცნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და შრომას, მის მოწვეულებს კომუნისტურ მშენებლობაში. ისინი ეწვივნენ სკკპ ქალაქ მოსკოვის გაგარინის რაიკომს, ვარსკვლავეთოთა ქალაქს, სადაც გულითადი შეხვედრა ჰქონდათ საბჭოთა კოსმონავტებთან, ლიუბერცის უტყობლის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა-სამშენებლო ქარხანას, რომელშიც ქმნიან შაქრის ახალ კომბაინებს კუბისათვის. ვორონეჟის ელექტრონულ ხელსაწყოთა ქარხანას, ვორონეჟის საავიაციო ქარხანას, რომელიც აწარმოებს ზეგგერით სამგზავრო „ტუ-144“ თვითმფრინავებს, ნოვოვორონეჟის ატომურ ელექტროსადგურს, აგრეთვე ქალაქ მინსკს — ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქს. კუბელმა ამხანაგებმა ამოგზაურეს ხატინში, გაეცნენ დიდი სამამულო ომის ხატორიის მუზეუმს, ესაუბრნენ რესპუბლიკის ზრუმძღვანელებს.

დელეგაცია ეწვია მთელ რიგ სახელმწიფო, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებს, შეხვდა საბჭოთა მშრომელებს. კუბელი ამხანაგებს ყველგან ძმური მასპინძლობა გაუწიეს, რაც კუბელი ხალხისადმი საბჭოთა ადამიანების მხურვალე სიმპათიების, ხოლოდარობისა და ურღვევი მეგობრობის გამოხატულებაა.

მოსკოვში ყოფნის დროს კუბის დელეგაციამ ვარრგვინებით შეამკო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი, აგრეთვე დიდი სამამულო ომის დროს დაღუპული უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

გაიმართა ოფიციალური მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო რუსი და კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის ამორციელებენ.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს სოციალისტური კუბის აქტიურ საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირების ინტერესებს. ამ პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი აქცია გახდა ამხანაგ ფიდელ კასტროს ამასწინანდელი მოგზაურობა გვინეაში, ალჟირსა და სიერა-ლეონეში, აგრეთვე მისი ვიზიტები ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში — ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა კვლავ განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირი გადაჭრით გმობს კუბის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბლოკადას, რომელსაც შეერთებული შტატები ამორციელებენ, მხარეებმა აცნობეს ერთმანეთს, თუ როგორ მიმდინარეობს მათი ქვეყნების ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარება, აქტუალური ამოცანები ამ დარგში. გაიმართა პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მშენებლობის გამოცდილების ნაყოფიერი ურთიერთგაზიარება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ კუბის კომუნისტური პარტიისა და კუბელი ხალხის მიღწევებს სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების შენებლობაში, ძირეულ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა განხორციელებაში. კუბელმა ხალხმა თავისი გარჯით, თავისი მეცადინეობით დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, თავისი ბრძოლით შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ცხადყო, რომ შესწევს უნარი არა მარტო გმირულად დაიცვას რევოლუცია, რომელმაც იგი დამოუკიდებელი გახადა და სოციალიზმის შენებლობის გზაზე დააყენა, არამედ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთელი თავისი ენერგია და უნარი მოსაბრალოს ახალი საზოგადოების შენებლობას.

საბჭოთა მხარემ ძმური უყურადღებითა და დიდი კმაყოფილებით აღიქვა კუბელი ამხანაგების ინფორმაცია იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთაც ისინი ახორციელებენ ახლა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. რევოლუციის მეოხებით ღრმა სოციალური გარდაქმნები მოხდა კუბაში. ამის დადასტურებაა წარმატებანი სახალხო მეურნეობის დარგში, ის, რომ ყველა მოქალაქეს მიეცა სწავლის შესაძლებლობა, აღმოიფხვრა უწერლობა, გავრცელდა სამედიცინო მომსახურება მთელ მოსახლეობაზე, მოპოვებულია მიღწევები სხვა დარგებში.

კუბის რევოლუციამ განამტკიცა მუშების, გლეხების, ჯარისკაცების, სტუდენტების, მთელი კუბელი ხალხის ინტერნაციონალისტური, ანტიიმპერიალისტური შეგნებულობა, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ინტერნაციონალური ვოლიდარობის მტკიცე მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკასთან. რომელსაც კუბის კომუნისტური პარტია და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობა ახორციელებენ.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს სოციალისტური კუბის აქტიურ საგარეო პოლიტიკას. რომელიც შეესაბამება ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირების ინტერესებს. ამ პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი აქცია გახდა ამხანაგ ფიდელ კასტროს ამასწინანდელი მოგზაურობა გვინეაში, ალჟირსა და სიერა-ლეონეში, აგრეთვე მისი ვიზიტები ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში — ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა კვლავ განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირი გადაჭრით გმობს კუბის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბლოკადას, რომელსაც შეერთებული შტატები ამორციელებენ, აგრეთვე უყველა სხვა მტრულ მოქმედებას სოციალისტური კუბის წინააღმდეგ. ორივე მხარე იღწვნის მტკიცე და სტაბილური მშვიდობის უზრუნველყოფისათვის კარიბის ზღვის რაიონში, აქ იმპერიალისტური პოლიტიკით წარმოშობილი დაძაბული და საშიში სიტუაციების დაუშვებლობისათვის. საბჭოთა მხარემ დაადასტურა, რომ მხარს უჭერს კუბელი ხალხისა და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ უოუოდ ლიკვიდირებულ იქნას ამერიკის გუანტანამოს სამხედრო-საზღვაო ბაზა, რომელიც კუბელი ხალხის სუვერენული ნების წინააღმდეგ კუბის ტერიტორიაზეა განლაგებული.

საბჭოთა კავშირი მზად არის კვლავაც ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს კუბას სოციალისტური საზოგადოების შენებლობაში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და მისი რევოლუციური მონაპოვრების დაცვაში.

კუბელი ხალხის სახელით ამხანაგმა ფიდელ კასტრომ გულთბილი გრძნობები გამოხატა საბჭოთა კავშირისადმი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამშობლოსადმი. მან განაცხადა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის, რომლის 50 წლისთავს იუბილე წლეულს აღინიშნება, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია მთელი კაცობრობის სოციალურ პროგრესში.

საბჭოთა ხალხის მიერ შექმნილმა ახალმა — საზოგადოებრივმა წყობილებამ უზრუნველყო საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი წარმატებანი. საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუნწარილი გაუმჯობესება. როგორც აღნიშნა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რომელიც საბჭოთა კავშირს პირველად ჯერ კიდევ ცხრა წლის წინათ ეწვია, ეს მიღწევები დიდად გამრავლდა, საბჭოთა საზოგადოება ვითარდება დინამიკურად, სულ ახალ წარმატებებს აღწევს ყველა დარგში. ამასთან დაკავშირებით კუბის დელეგაციამ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევი ბოლო ხანებში ერთ-ერთ ასეთ ვიზიტის დროს სიხარული და აღტაცება გამოხატა საბჭოთა ქვეყნის ახალი ისტორიული მიღწევების გამო. კუბის დელეგაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის გამოცდილებას ოდიდესი ინტერნაციონალური მნიშვნელობა აქვს ხალხთა ბრძოლაში სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის შენებლობაში.

კუბის დელეგაცია თავისი ქვეყნის შრომილთა სახელით მიესალმა შესანიშნავ მიღწევებს, რომლებიც ყველა დარგში აქვს მოძმე საბჭოთა ხალხს, თანმიმდევრულად და გულდაჯერებით რომ ვითარდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზით, როგორც ეს დასახულია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით.

საბჭოთა მხარემ გაიცნო კუბის მხარის მუშაობა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ განხორციელდა ყრილობის მიერ მოწონებული მშვიდობის აქტიური დაცვისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების პროგრამის შესასრულებლად, მათ შორის ამ მიზნების მისაღწევად უმაღლეს მდივანმა ა. პ. კირილენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. პელშემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. შელეპინმა და სხვებმა.

ფიდელ კასტრო რუსმა მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. ყღერს კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგებმა ფიდელ კასტრო რუსმა, ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნ. კოსიგინმა ნ. ვ. პოდგორნი, ა. ა. ანდროპოვი, ა. ნ. შელეპინი, ა. ე. შელესტი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ნ. დემიჩევი, მ. ს. ხოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაბიტონოვი, კ. ო. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მხედართმთავრები, კოსმონავტი მფრინავები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

სტუმართა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობის წინ შესრულდა კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დარბაზობამ ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ამხანაგი ფიდელ კასტრო მოსკოვიდან გაემგზავრა

5 ივლისს მოსკოვიდან გაემგზავრა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ამხანაგი **ფიდელ კასტრო რუსი.** იგი ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა ოფიციალური მეგობრული ვიზიტით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ათეულ ათასობით მოსკოველი გამოვიდა ქუჩებში, რომ გულთბილად გაეცილებინა ამხანაგი ფიდელ კასტრო, სხვა კუბელი მეგობრები.

კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ენუკოვის აეროდრომზე საპატიო სტუმარი გაეცილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური **კომიტეტის** მდივანმა **ა. პ. კირილენკომ,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. ი. პელშემ,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. შელეპინმა** და სხვებმა.

ფიდელ კასტრო რუსმა მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. ყღერს კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგებმა **ფიდელ კასტრო რუსმა, ლ. ი. ბრეჟნევმა** და **ა. ნ. კოსიგინმა** ნ. ვ. პოდგორნი, ა. ა. ანდროპოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ნ. დემიჩევი, მ. ს. ხოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაბიტონოვი, კ. ო. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მხედართმთავრები, კოსმონავტი მფრინავები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

დარბაზობა კრემლის დიდ სასახლეში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 4 ივლისს კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში გამართეს დარბაზობა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის **ფიდელ კასტრო რუსის** პატივსაცემად.

ფიდელ კასტროსთან ერთად დარბაზობაზე იყვნენ მისი თანმხლები პირნი და სახელმწიფო მოღვაწენი, აგრეთვე კუბის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში **რაულ გარსია პელაესი.**

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, მ. ს. ხოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაბიტონოვი, კ. ო. კატუშევი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მხედართმთავრები, კოსმონავტი მფრინავები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

სტუმართა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობის წინ შესრულდა კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დარბაზობამ ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ᲮᲣᲗᲨᲚᲔᲓᲘ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

მექანიზატორი—სოფლის მარჩენალი

თანამედროვე სოფელი წარმოუდგენელია უმანქანოდ. მანქანას კი ადამიანი მართავს. სასოფლო-სამეურნეო მანქანებით სოფლის მშრომელები სასწაულებს ახერხენ. თითქმის ყველა სოფელშია წარჩინებული მექანიზატორი, რომელიც 200-300 ჰექტარ ნათესს ამუშავებს მანქანით და უხვ მოსავალს იღებს.

სიღნაღის რაიონში ბევრია სახელოვანი მექანიზატორი. სოფელ მაღაროს კოლმეურნეობაში ცხოვრობს და შრომობს საქვეყნოდ სახელგანთქმული მექანიზატორი, სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ივანე ბაიდოშვილი, რომელსაც თანასოფლელებმა სოფლის მარჩენალი შეარქვეს და ეს სწორია ისე — შრომაში გაჯაღარავებული მექანიზატორი მანქანებით ყოველწლიურად თავთავიანი მარცვლეული კულტურების, მზესუმზრისა თუ სმინდის უხვ მოსავალს იღებს. მისი ბრიგადა რაიონში და რესპუბლიკაში სახელგანთქმულია.

მაღაროელ მექანიზატორს სიღნაღის რაიონში ბევრი მიმდევარი ჰყავს. თითქმის ყველა კოლმეურნეობაშია ტრაქტორისტი თუ კომბაინერი, რომელიც ბაიდოშვილის მიბაძვით დღე გამარჯვებას აღწევს შრომაში. ამაოთვან დღეს უნდა დავასახელოთ სოფელ ბოდბისელი ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ჩ. ჯალიაშვილი, რომელსაც მანქანა — ტრაქტორი იქნება თუ კომბაინი, საკუთარი თავივით უყვარს და უვლის. ამიტომ არის, რომ იგი შრომაში სასახელო მაჩვენებლებს აღწევს.

— მიმდინარე წელი ბოდბისხეველი შრომელებისათვის აუცილებელყოველი ბადეებლსაყოველი ამინდებით ხასიათდება, ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გელაშვილი, სუსხიანმა ზამთარმა და წვიმებიანმა გაზაფხულმა ბალი შრომაში ხელი შეუშალა, მაგრამ მექანიზატორთა გაჯარამ და მოსერხებულობამ სიძნელეები დაგვაძლევინა. ჩვენი მექანიზატორები გამჭრიახობით ამჯერადაც ენახეთ გამოსავალი. სელ ნიადაგში კომბაინები ეფლობოდნენ, ქერის მკა გაჭირდა, მაგრამ ბოგანერთი სიახლის დანერგვით მოსავალი გადარჩა. მალე შერაქში პურეულის მოსავლის აღებას დავიწყებთ. აქაც მზად არიან ჩვენი მექანიზატორები, რომ მოსავლის აღება არ შეფერხდეს. კომბაინერი ჩ. ჯალიაშვილი ენერგიული, გამოცდილი მექანიზატორია. დღეში იგი ქერს 15-20 ჰექტარზე იღებს და ჰექტარზე 30 ცენტნერ მარცვალს ლეწავს.

ვ. ᲒᲝᲯᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

სურათზე: კომბაინერი ჩ. ჯალიაშვილი მანქანის სახელთან.

ᲔᲓ. ᲑᲔᲠᲝᲕᲜᲘᲡ ფოტო.

ᲣᲙᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია

ასრულებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირუტყვის გამოზამთრების მძიმე პირობების მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში. ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმა დაკალებით შესრულებულია 144 პროცენტით, რძისა — 105 პროცენტით, კვერცხისა — 104 პროცენტით, მატყლისა — 107 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის გაშლილ ფერიბრებისა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ ნაკლარ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ხიღნაღის, ნაგარეჯოს, გორის, ბოგდანოვკის, ყვარლის, მარნეულის, დუშეთის, თეთრი წყაროს, მახარაძის, ახაშენის, ხობის, ცხაკაიას, თერჯოლისა და სხვა რაიონების მშრომელებმა. (საქინფორმი).

თავი ისახელეს ნალენჯიხელმა მეჩაიეებმა

ბაშალეს რა შეეხებრება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ნალენჯიხის რაიონის მეჩაიეები ორგანიზებულად კრეფენ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს და გადაჭარბებთ შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის სამი თვის (აპრილის, მაისის, ივნისის) გეგმა. ამ ხნის მანძილზე დამზადებულია 8.376,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 8.345 ტონის ნაცვლად.

ჩაის ფოთლის კრეფა წარმატებით გრძელდება. (საქინფორმი).

ᲓᲐᲒᲒᲝᲯᲘᲡᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ რაიონის მშრომელები, რომლებიც ეერთიანეთს ეჯიბრებიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, კარგად მოემზადნენ აბრეშუმის ჭიის გამოკვებისათვის, წარმატებით დამთავრეს იგი და შეასრულეს სახელმწიფოსათვის პარკის მიყიდვის გეგმა და სოციალისტური ვალდებულება. დამზადებულია 210 ტონა აბრეშუმის პარკი, გეგმაზე 20 ტონით, ხოლო ვალდებულებაზე 10 ტონით მეტი.

სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვა გრძელდება. (საქინფორმი).

ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲝᲒᲐ Ვ. Პ. ᲛᲭᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ᲝᲛᲮᲜᲘᲡ მსოფლიო რემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ოიგიდან ჩამოვიდა ბელორუსიაში, მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჭავანაძემ.

ვ. მჭავანაძემ დიდი ინტერესით მოისმინა ნ. გაფრინდაშვილის ნაამბობი განვლილი რემპიონატის შესახებ. მან გულთბილად მიულოცა მოკადრაკეს მსოფლიო ჩემპიონობის კვირგვინის მეოთხედ მოპოვება და უსურვა ახალი გამარჯვებანი, ბედნიერება და წარმატება ცხოვრებასა და შრომაში, გადასცა სამახსოვრო საჩუქარი.

ნ. გაფრინდაშვილმა მხურვალე მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის მშრომელებს და პირადად ვ. მჭავანაძეს დიდი ყურადღებისა და ზრუნვისათვის, რომელიც რემპიონატის ღღეებში გამოიჩინეს მისადმი.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ო. ჩერქეზია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე გ. ბედნიერიშვილი. (საქინფორმი).

ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲝᲒᲐ Გ. ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲡᲗᲐᲜ

ᲝᲛᲮᲜᲘᲡ მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ოიგიდან ჩამოვიდა ბელორუსიაში, მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჭავანაძემ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲤᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝ ᲠᲣᲡᲘ

ᲙᲣᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ ᲤᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲒᲐᲛᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲤᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივი კომუნიკე

(დასასრული).

შეერთებული შტატების ომის ესკალაციისა და „ვიეტნამიზაციის“ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სსრ კავშირი და კუბა სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელი, ლაოსელი და კამბოჯელი ხალხების სამართლიან ბრძოლას, თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის, მოითხოვენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის შეწყვეტას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების მთელი ჯარების სრულ და დაუყოვნებლივ გაყვანას სამხრეთ ვიეტნამიდან, თხოეულ მარიონეტული რეჟიმისათვის მხარდაჭერის შეწყვეტას, პარიზის მოლაპარაკების განახლებას. ისინი მოითხოვენ, რომ უცხოეთის ჩაერევლად სამართლიანად, პოლიტიკურად მოწესრიგდეს ეს საკითხი, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, კამბოჯის ერთიანი ეროვნული ფრონტისა და ლაოსის პატრიოტული ფრონტის ცნობილი წინადადებანი.

საბჭოთა კავშირი და კუბის რესპუბლიკა დარწმუნებულნი არიან, რომ ინდოჩინეთის ყველა ხალხი თავისი უმაგალითო ვაჟკაცობით, სიმტკიცითა და გმირობით სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პოლიტიკური, მორალური და მატერიალური მხარდაჭერით და მთელი პროგრესული კაცობრიობის მზარდი სოლიდარობის მეოხებით თავის სამართლიან საქმეს გამარჯვებით დაგვირგვინებს.

ორივე მხარე ძმურ სოლიდარობას უცხადებს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც სოციალიზმს აშენებს. ისინი მთლიანად უჭერენ მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თთავრობის წინადადებებს ქვეყნის მშვიდობიანი დემოკრატიული გაერთიანების შესახებ და კორეელი ხალხის მოთხოვნებს კორეის სამხრეთიდან უცხოელთა ჯარების გაყვანის შესახებ.

ხაბჭოთა და კუბის მხარეებს მიაჩნიათ, რომ ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების ოკუპაცია აგრძელებს დაძაბულობას ახლო აღმოსავლეთში და საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას. ისინი გადაჭრით უჭერენ მხარს არაბ ხალხთა ბრძოლას ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანისათვის. მხარეები ადასტურებენ, რომ მხარს უჭერენ პალესტინის არაბი ხალხის ბრძოლას თავისი კანონიერი უფლებების აღდგენისათვის.

სსრ კავშირი და კუბა რწმენას გამოთქვამენ, რომ წარმატებით დამთავრდება აფრიკის ხალხთა ბრძოლა კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ორივე მხარე ძმურ სოლიდარობას უცხადებს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც სოციალიზმს აშენებს. ისინი მთლიანად უჭერენ მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თთავრობის წინადადებებს ქვეყნის მშვიდობიანი დემოკრატიული გაერთიანების შესახებ და კორეელი ხალხის მოთხოვნებს კორეის სამხრეთიდან უცხოელთა ჯარების გაყვანის შესახებ.

ხაბჭოთა და კუბის მხარეებს მიაჩნიათ, რომ ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების ოკუპაცია აგრძელებს დაძაბულობას ახლო აღმოსავლეთში და საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას. ისინი გადაჭრით უჭერენ მხარს არაბ ხალხთა ბრძოლას ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანისათვის. მხარეები ადასტურებენ, რომ მხარს უჭერენ პალესტინის არაბი ხალხის ბრძოლას თავისი კანონიერი უფლებების აღდგენისათვის.

ორივე მხარე ძმურ სოლიდარობას გამოთქვამენ, რომ ფორმალური ხელშეკრულებანი ევროპის ხალხებს ბარბაროსული რასისტული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც პრეტორიისა და სოლსბერის რეჟიმები ახორციელებენ. მხარეებმა დაგმეს პორტუგალიისა და მისი ნატოელი მოკავშირეების აგრესიული და პროვოკაციული მოქმედება გვინეის რესპუბლიკისა და აფრიკის სხვა პროგრესული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ორივე მხარე დადებითად აფასებს დიდ შემობრუნებას ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობისაკენ. აქუშიშროებისა და კეთილმეზობლობის მტკიცე საფუძვლების უზრუნველყოფისაკენ. ევროპაში ამჟამად მიმდინარე პროცესები, რომლებიც უმთავრესად სოციალისტური სახელმწიფოთა აქტიური პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, უეჭველად ხელს შეუწყობენ დაძაბულობის შენელებას მსოფლიოს სხვა რაიონებში. ევროპის ამბების ასეთი შემობრუნება შეესაბამება ხალხთა და ყველა პროგრესულ დემოკრატიულ მოძრაობათა ძირიელ ინტერესებს.

ევროპაში მომხდარ პოზიტიურ ცვლილებათა განმტკიცების გზაზე ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა სოციალისტურ სახელმწიფოთა იმ წინადადებების რეალიზაცია, რომ მოეწყოს სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე.

მხარეებმა ერთნაირი აზრი გამოთქვეს იმის გამო, რომ ევროპის მშვიდობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციას. ორივე მხარე ადასტურებს, რომ ბერლინის ოთხმხრივ ხელშეკრულებათა ძალაში შესვლის ფაქტს, რომელთანაც დადასტურდა, რომ ურღვევია ევროპის სახელმწიფოთა ახლანდელი საზღვრები. ორივე ოთხმხრივ შეთანხმებას ბერლინის დასავლეთი სექტორების საკითხებზე.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ გაძლიერდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის როლი საერთაშორისო საქმეებში, განმტკიცდა მისი როგორც სუვერენული თანასწორუფლებიანი სახელმწიფოს პოზიციები. ისინი მოითხოვენ, რომ ყველა ქვეყანამ საერთაშორისო-სამართლებრივად ცნოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ამავე დროს ორივე გერმანული სახელმწიფო მიიღონ გაერთიანებულთა ერების ორგანიზაციაში. მხარეებს მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეტანილ დიდ წვლილად მიაჩნიათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებანი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის სენატს შეთანხმებანი. ხაბჭოთა კავშირი და კუბა მხარს უჭერენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკის იმ სამართლიან მოთხოვნას, რომ იმთავითვე ბალილად ჩაითვალოს მიუნხენის შეთანხმება.

ლათინური ამერიკის მდგომარეობის გამო აზრთა ურთიერთგაზიარების დროს მხარეებმა აღნიშნეს, რომ ამ კონტინენტზე ძლიერდება ამერიკის იმ ქვეყნების პატრიოტულ და რევოლუციურ ძალებს, რომლებიც თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან. ისინი გმობენ ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის პოლიტიკას. რა ფორმითაც უნდა მდებოდეს ეს.

ხაბჭოთა კავშირი და კუბა სოლიდარობით ეკიდებიან აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სამართლიან ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის განმტკიცებისათვის, დიდად აფასებენ მათს წვლილს იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში. ისინი მთლიანად უჭერენ მხარს ამ ხალხებს, რომლებიც ცდილობენ დაიბრუნონ ეროვნული სიმდიდრენი, რომლებიც ხელთ უპყრიათ უცხოეთის მონოპოლიებს. ისინი გმობენ რეპრესიებისა და დისკრიმინაციის იმპერიალისტურ პოლიტიკას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც თავიანთი ეროვნული რესურსების დაცვის გზას ადგანან.

ხაბჭოთა მხარე და კუბის მხარე აღნიშნავენ, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ნარმატებითი ბრძოლის აუცილებელი პირობაა თანამედროვეობის მთელი რევოლუციური დემოკრატიული ძალების შეკავშირება სოციალისტურ ქვეყნებთან, და ანტიიმპერიალისტური ძალების ყოველგვარი გათიშვა შეიძლება ხელსაყრელი იყოს მხოლოდ იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმისათვის, ზიანს მოაყენებს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლის საქმეს.

ხაბჭოთა კავშირსა და კუბის რესპუბლიკას მიაჩნიათ, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს ეროვნულ-განმტკიცებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, სრული და საყოველთაო განიარაღების კერძოდ ატომური განიარაღების მიღწევას. მათ კვლავ მხარი დაუჭირეს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას მსოფლიოს ყველა ქვეყნის მონაწილეობით.

ორივე მხარეს სასურველად მიაჩნია, რომ უახლოეს ხანში შეეფდეს ძალაში ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შეშუშავების, წარმოებისა და მისი მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მოსპობის კონვენცია, რომელიც გახსნილია ხელმოსაწერად. მხარეები მოითხოვენ, რომ განხორციელდეს ღონისძიებანი ქიმიური იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციის შესაბამისი შეთანხმების უსწრაფესად მიღწევის მიზნით.

ორივე მხარის აზრით, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროს ვიზიტის დროს გამართული შეხვედრები და ხუბრები, რომლებიც დიდი ურთიერთგაგებისა და ერთნაირი შეხედულებების ურღვევი მეგობრობის, მარქსიზმ-ლენინიზმის და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, დასაწყისია ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპისა ხაბჭოთა [illegible] ურთიერთობებსა და ბრძოლაში [illegible] — კომუნისტური პარტიების, სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის [illegible] ურთიერთობებსა და გაერთიანებებში.

ეს შეხვედრა იმ ქვეყნის პარტიის, მუშათა კლასის და ხალხის წარმომადგენლებისა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად პრაქტიკულად განახორციელა სოციალიზმის იდეალები, და იმ ქვეყნის პარტიის, მუშათა კლასის და ხალხის წარმომადგენლებისა, რომელიც ამერიკაში პირველი შეუდგა სოციალისტური ხაზოგადოების შენებლობას, ჩვენი დროის მკაფიო სიმბოლოა, იმ ურღვევი კავშირურთიერთობის გამოხატულებაა, რომელიც ერთიანებთ ხაბჭოთა კავშირსა და კუბას.

კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ამხანაგმა ფიდელ კასტრომ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რევოლუციური მთავრობის ხელით ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ვ. პოდგორნი, და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ოფიციალური, მეგობრული ვიზიტით მიიწვია კუბის რესპუბლიკაში. ამ მიწვევაზე მადლობით დათანხმდნენ.

სსრკ 50

მეგობრობის ფურცლები

ასე ვრცელდება საქართველოს ...

...

ბორი. (საქ. კორ.). მას შემდეგ, რაც ტინისხიდის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საჯიშე-სანაშენე საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის წარმატებათა შესახებ მასალები რუსულ და ქართულ ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა, მეურნეობა ცნობილი გახდა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. დღე ერთია და მომავლელი უთალავი. ახლო რაიონებიდან ადგილზე ეცნობიან, სწავლობენ ამ სასარგებლო წამოწყების ასავალ-დასავალს, ხოლო რომლებიც ადგილზე ჩამოსვლას ვერ ახერხებენ, პარტიის გორის რაიკომის სახელზე უამრავ წერილებს წერენ, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონიდან და კოლმეურნეობიდან.

ამ წერილების შინაარსი თითქმის ერთნაირია. იწყება გულთბილი მოკითხვით და კეთილი სურვილებით. შემდეგ სთხოვენ იმ გამოცდილების გაზიარებას, რომელიც გორის რაიონის მშრომელებმა ამ უკანასკნელ წლებში საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობების შექმნის შემდეგ შეიძინეს.

საილუსტრაციოდ ავიღოთ ბოლო ორი წერილი. უკრაინის კომპარტიის ოდესის ოლქის კახოგკის საქალაქო კომიტეტიდან იწერებიან: „ძირფასო გორელო მეგობრებო, ტინისხიდის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საჯიშე სანაშენე საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის შესახებ წავიკითხეთ ჩვენს რესპუბლიკურ გაზეთ „სელსკაია ჟიზნ“-ში, გამოგიტყდებით, რომ მოგვეწონა თქვენი ინიციატივა მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში. გვინდა გადმოვიღოთ თქვენი გამოცდილება და თქვენი დახმარებით ჩვენს რაიონშიც შევქმნათ ისეთივე სპეციალიზებული მეურნეობა, როგორიც თქვენ ტინისხიდში გაქვთ. ვფიქრობთ, მხოლოდ ასეთი მეურნეობის შექმნის შედეგად უზრუნველყავოთ ჩვენს კოლმეურნეობებს ჯიშიანი პირუტყვით.

გთხოვთ დაგვიხმაროთ ამ სამვილიანი საქმეში. იმედია დაწერილებით მოგვწერთ თქვენი საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობის შექმნის შესახებ. გვაინტერესებს, რის საფუძველზე შექმენით ეს მეურნეობა, როგორ გაქვთ დაყენებული შრომის ორგანიზაცია, მისი სტრუქტურა და პრინციპი. გვაინტერესებს აგრეთვე, როგორია მეურნეობის საწარმოო ბაზა, რაზეა დამყარებული და როგორ ხდება თქვენი რაიონის კოლმეურნეობების ჯიშიანი ხბოვნით უზრუნველყოფა. დიდი მადლობელი ვიქნებით დახმარებისათვის. — პარტიის კახოგკის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. მეფერიაკოვი“.

მეორე წერილი კი გამოგზავნილია ხერსონის ოლქის კახოგკის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიტია“-დან. „გაზეთ „სელსკაია ჟიზნ“-მი გამოქვეყნდა წერილი ფოტოსურათით, რომელზეც აღბეჭდილი იყო ტინისხიდის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საჯიშე-სანაშენე საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის საერთო ხედი. როცა ეს წერილი წაგიკითხეთ, დავინტერესდით, რადგან ჩვენც ვაშენებთ ანალოგიურ ფერმას. მაგრამ ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი დამოუკიდებლად ვერ გადავწყვიტეთ, რადგან ამ საქმეში გამოუცდელი ვართ. გთხოვთ განგვიმარტოთ რამდენიმე ორგანიზაციული საკითხი. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ა. სუმაკი“.

გორელები ყველა წერილს დიდი პასუხისმგებლობით და მეგობრული გრძნობით ეკიდებიან. სიამოვნებით ასრულებენ მეგობართა თხოვნას, რაც ტინისხიდის ფერმას და გამოცდილების გაზიარებას შეეხება. გორის რაიონიდან გაგზავნილ პასუხში, იგრძნობა მეგობრული სითბო და საქმის სიყვარული. პასუხი გულუხვია და მთელი სიგრძე-სიგანით არის აღწერილი საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობის შექმნისა და შემდგომი მისი მუშაობის ამბავი. წერენ იმის შესახებაც კი, რასაც ვერ ეკითხებიან და აუცილებელი კია იცოდნენ საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობის შექმნისათვის.

ამასთანავე გორელები წერილებით გაცნობილ მეგობრებს უყვებიან გორის რაიონზე, მის ძირითად მიმართულებაზე, ესაუბრებიან რაიონის ეკონომიკაზე, მიღწევებზე უკანასკნელ წლებში და ბოლოს აღნიშნავენ, რომ გორელები მზად არიან მეგობრებს ყველა დახმარება გაუწიონ.

ასე გადის პატარა გორიდან დიდი საქმის ამბები ჩვენი დიადი საშობლოს სხვადასხვა რაიონსა და სოფლებში. ასე ერცელდება გორელების სასარგებლო გამოცდილება, იჭედება და უფრო მტკიცდება მეგობრობა ხალხებს შორის.

რ. ბასილაშვილი.

□ □

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 5 ივლისის ბრძანებულებით პარტიულ, სამეურნეო ორგანოებში და ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით დაჯილდოვდნენ:

ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე გაგნიძე — თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის უფროსის მოადგილე;

ნიკოლოზ მელიტონის-ძე ქურდაძე — თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის უფროსის მოადგილე;

შორს არის განთქმული აფხაზეთის კურორტების სახელი. აქაურ შესანიშნავ ბუნებრივ და სამკურნალო ფაქტორებთან ერთად მშრომელთა განკარგულებაშია მრავალი კეთილმოწყობილი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი, ტურისტული ბაზა, სადაც ყოველწლიურად ისვენებს და მკურნალობს ათეულ ათასობით საბჭოთა ადამიანი.

ახალი საზაფხულო სეზონის შესასვლელად მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა. და სწორედ ჩვენც ეს გვაინტერესებს, თუ როგორ შეხვდნენ აფხაზეთის კურორტების ჯანმრთელობის კერები ახალ საზაფხულო სეზონს. ამ მიზნით ადგილზე გავიცანით მდგომარეობის, მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა შევხვდით არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებსაც. აი ისინი:

დასასვენებელთა სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს ბოსტნეულითა და ხილით, რძის პროდუქტებით ცუდი მომარაგება. ამ საქმეში მეორდება გასული წლების შეუსაბამობანი. მაგალითად, „საქკონსერვხილბოსტნეულ მა“ მიმდინარე წლისათვის აფხაზეთის ასხრ ვაჭრობის სამინისტროს გამოუყო 10 ათასი ტონა ბოსტნეული, მაგრამ იმის გამო, რომ სათანადო განწესება მათ მიერვე ოპერატიულად არ ყოფა აღგილებზე �აზავნილი, სავაჭრო ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს დროულად დაეფოთ სათანადო ხელშეკრულებანი მიმწოდებელ ორგანიზაციებთან. ამის შედეგად ჯანმრთელობის კერებისა და კურორტების მაღაზიების ბოსტნეულით მომარაგება ჩაშლილა, ბოსტნეულის მაღაზიები ცარიელია. ავიღოთ თუნდაც საადრეო კარტოფილით მომარაგების საკითხი. გეგმით უნდა მიეღოთ 1.200 ტონა, უკვე ვადებია ამოიწურა, ახალი კარტოფილი კი არც ერთი კილოგრამი არ გამოჩენილა.

თუ როგორ მარაგდება კარტოფილითა და ბოსტნეულით ჯანმრთელობის კერები, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ გულრიფშის რაიონის დასასვენებელი სახლის „აგუძერის“ მაგალითით. აქ 5 თვეში უნდა მიეღოთ 52.640 კილოგრამი კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ხახვი, ალი რესპუბლიკის და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა ძალაში შესვლის ფაქტს, რომელთანაც დადასტურდა, რომ ურღვევია ევროპის სახელმწიფოთა ახლანდელი საზღვრები. აგრეთვე ოთხმხრივ შეთანხმებას ბერლინის დასავლეთი სექტორების საკითხებზე.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ გაძლიერდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის როლი საერთაშორისო საქმეებში, განმტკიცდა მისი როგორც სუვერენული თანასწორუფლებიანი სახელმწიფოს პოზიციები. ისინი მოითხოვენ, რომ ყველა ქვეყანამ საერთაშორისო-სამართლებრივად ცნოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ამავე დროს ორივე გერმანული სახელმწიფო მიიღონ გაერთიანებულთა ერების ორგანიზაციაში. მხარეებს მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეტანილ დიდ წვლილად მიაჩნიათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებანი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის სენატს შეთანხმებანი. ხაბჭოთა კავშირი და კუბა მხარს უჭერენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკის იმ სამართლიან მოთხოვნას, რომ იმთავითვე ბალილად ჩაითვალოს მიუნხენის შეთანხმება.

ლათინური ამერიკის მდგომარეობის გამო აზრთა ურთიერთგაზიარების დროს მხარეებმა აღნიშნეს, რომ ამ კონტინენტზე ძლიერდება ამერიკის იმ ქვეყნების პატრიოტულ და რევოლუციურ ძალებს, რომლებიც თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან. ისინი გმობენ ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის პოლიტიკას. რა ფორმითაც უნდა მდებოდეს ეს.

ხაბჭოთა კავშირი და კუბა სოლიდარობით ეკიდებიან აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სამართლიან ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის განმტკიცებისათვის, დიდად აფასებენ მათს წვლილს იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში. ისინი მთლიანად უჭერენ მხარს ამ ხალხებს, რომლებიც ცდილობენ დაიბრუნონ ეროვნული სიმდიდრენი, რომლებიც ხელთ უპყრიათ უცხოეთის მონოპოლიებს. ისინი გმობენ რეპრესიებისა და დისკრიმინაციის იმპერიალისტურ პოლიტიკას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც თავიანთი ეროვნული რესურსების დაცვის გზას ადგანან.

ხაბჭოთა მხარე და კუბის მხარე აღნიშნავენ, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის აუცილებელი პირობაა თანამედროვეობის მთელი რევოლუციური დემოკრატიული ძალების შეკავშირება სოციალისტურ ქვეყნებთან, და ანტიიმპერიალისტური ძალების ყოველგვარი გათიშვა შეიძლება ხელსაყრელი იყოს მხოლოდ იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმისათვის, ზიანს მოაყენებს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლის საქმეს.

ხაბჭოთა კავშირსა და კუბის რესპუბლიკას მიაჩნიათ, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს ეროვნულ-განმტკიცებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, სრული და საყოველთაო განიარაღების კერძოდ ატომური განიარაღების მიღწევას. მათ კვლავ მხარი დაუჭირეს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას მსოფლიოს ყველა ქვეყნის მონაწილეობით.

ორივე მხარეს სასურველად მიაჩნია, რომ უახლოეს ხანში შეეფდეს ძალაში ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შეშუშავების, წარმოებისა და მისი მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მოსპობის კონვენცია, რომელიც გახსნილია ხელმოსაწერად. მხარეები მოითხოვენ, რომ განხორციელდეს ღონისძიებანი ქიმიური იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციის შესაბამისი შეთანხმების უსწრაფესად მიღწევის მიზნით.

ორივე მხარის აზრით, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროს ვიზიტის დროს გამართული შეხვედრები და ხუბრები, რომლებიც დიდი ურთიერთგაგებისა და ერთნაირი შეხედულებების ურღვევი მეგობრობის, მარქსიზმ-ლენინიზმის და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, დასაწყისია ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპისა ხაბჭოთა [illegible] ურთიერთ[illegible] — კომუნისტური პარტიების, სსრ კავშირისა და კუბის [illegible] ურთიერთობებსა [illegible] ბრძოლაში [illegible] ურთიერთობებსა და გაერთიანებებში.

ეს შეხვედრა იმ ქვეყნის პარტიის, მუშათა კლასის და ხალხის წარმომადგენლებისა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად პრაქტიკულად განახორციელა სოციალიზმის იდეალები, და იმ ქვეყნის პარტიის, მუშათა კლასის და ხალხის წარმომადგენლებისა, რომელიც ამერიკაში პირველი შეუდგა სოციალისტური ხაზოგადოების შენებლობას, ჩვენი დროის მკაფიო სიმბოლოა, იმ ურღვევი კავშირურთიერთობის გამოხატულებაა, რომელიც ერთიანებთ ხაბჭოთა კავშირსა და კუბას.

კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ამხანაგმა ფიდელ კასტრომ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რევოლუციური მთავრობის ხელით ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ვ. პოდგორნი, და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ოფიციალური, მეგობრული ვიზიტით მიიწვია კუბის რესპუბლიკაში. ამ მიწვევაზე მადლობით დათანხმდნენ.

საქართველოს კურორტებზე

დასასვენებელი სტუმარია

ვიყოთ კეთილი მასპინძელი

„კომუნისტის“ რეიდი

ახალი კიტრი და სხვა ბოსტნეული, ფაქტიურად მიღებულია მხოლოდ 14.120 კილოგრამი. ასევე ცუდად მარაგდება დასასვენებელი სახლი რძითა და რძის პროდუქტებით. ამავე პერიოდში „აგუძერას“ უნდა მიეღო 23.359 კილოგრამი რძე, კიფირი, ხაჭო და არაჟანი, ფაქტიურად კი მიიღო 13.646 კილოგრამი.

რამდენიმე წლის წინათ გადაწყდა „აგუძერის“ გაფართოებისა და რეკონსტრუქციის საკითხი. დასასვენებელი სახლის ერეკლე ტერიტორიაზე ახალი საძინებელი კორპუსები შენდება. ამჟამად აქ ერთდროულად 750 კაცი ისვენებს, ხოლო მომდინარე წელს ეს ციფრი ბოლოსათვის საწოლთა რაოდენობა 2000-მდე გაიზრდება. მშენებლობას აწარმოებს „საკრანსსტროის“ № 133 სამშენებლო სამმართველო (უფროსი შ. ლომინაძე), საზაფხულო სეზონისათვის მშენებლებმა კიდევ ერთი 220-საწოლიანი საძინებელი კორპუსი გადასცეს საკრმესლოატაციოდ. დამსვენებლებიც ჩამოვიდნენ და დროულად დაიკავეს ადგილები. მაგრამ ერობაზად სტუმართა ასეთმა ზრდამ აქ არსებულ ძველ, ისევდაც შეუფერებელ სასადილოში სივიწროვის გამო არგვარი ცვლილება გამოიწვია.

ახალ საძინებელ კორპუსში სტუმრების მიღებასთან ერთად უნდა გახსნილიყო ახალი 750-ადგილიანი სასადილო, რომელიც თითქოს მზად იყო სეზონისათვის, მაგრამ სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ მისი პროექტი „აგუძერისათვის“ შეუფერებელი იყო. ის საზაფხულო ტიპისაა, ირგვლივ კედლები არა აქვს, აშენებულია საზაფხულო სასადილოების ტიპური პროექტით ტურბაზებისათვის. რას ფიქრობდნენ დამპროექტებელი და შემგეული ორგანიზაციები, რომლებმაც გადაწყვიტეს ასეთი ტიპის სასადილოს აშენება „აგუძერაში“, ან სად იყო აფხაზეთის კურორტების მართვის საბჭოს ტექნიკური ზედამხედველი, რაც აღნიშნული ობიექტის მშენებლობის დამთავრებამდე ყოველთვის ხელს უწერდა მშენებლებს № 2 ფორმაზე. ვინ ანაზღაურებს რეკონსტრუქციის ხარჯებს, სახელმწიფოსათვის მიყენებულ ზარალს?!

დაიწყო დამნაშავის ძებნა. ამ მიზნით სათანადო კომისიაც გამოქმედებულ, მაგრამ ეს დამსვენებლებს რას შველის? მათ ხომ დროულად უნდა აჭამონ საუზმე, საღილი და ვახშამი?! ამიტომაც იყო. რომ თითქოს დროებითი ვამხსნელიც მოძებნეს. — აქ არსებული მუშათა სასადილო დამსვენებლებისათვის დადაკეტეს, მუშა-მოსამსახურეები კი ისე დატოვეს.

მაგრამ მდგომარეობა მთლიანად ამანაც ვერ გამოასწორა რადგან, ორივე სასადილოში სამსამადე დასაჯდომი ადგილია და 750 კაცი ორ ცვლაზედაც კი ვერ თავსდება. ამას ემატება ორივე სასადილოსათვის არსებული ერთადერთი ძველი სამზარეულოს სივიწროვე. აქ არ გააჩნიათ ჭურჭლის სარეცხი მანქანა, შემოწმების დღეს არ მუშაობდა სამაცივრო კარადა, კამერა, ელექტროქურები, გაზის ქურებიც სანახევროდ გამოსულია მწყობრიდან.

საზაფხულო სეზონის წინ აქ ტრესტ „საქკურორტმშენის“ სოსუმის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ვ. კაკუბავა, მთავარი ინჟინერი რ. ცანავა) ჩაუტარებია სასადილოს რემონტი, მაგრამ უსარისხოდ, ამიტომ უძნელდებათ ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვა.

სარემონტო-სამშენებლო კანტორის მუშაკებმა „აგუძერაში“ სამარცხვინოდ ჩაშალეს მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. ისინი აქ აშენებენ დასასვენებელი სახლის კორპუსების გასათბობად საქვაბეს, სამრეცხაოს, გაძლიერებული წყალმომარაგების ქსელს, უნდა ჩაატარონ აგრეთვე ტერიტორიის მისასვლელი გზებისა და პლაჟის კეთილმოწყობის სამუშაოები. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ შარშან უნდა ყოფილიყო დამთავრებული, მაგრამ წელსაც ბოლო არ უჩანს.

დასასვენებელი სახლის ტერიტორიაზე და პლაჟზე მოუგვარებელია გამაგრილებელი წყლებიანი, ნაყინით, ხილითა და სხვა პროდუქტებით ვაჭრობა. პლაჟთან დგას ერთადერთი დამტვრეული ფარდული, რომელიც ოდესღაც გულრიფშის სასოფლო-სამომხმარებელო საზოგადოების (თავმჯდომარე მ. ვალანდია) მესვეურები ამაზე ყურსაც არ იბერტყავენ და აბუჩად იგდებენ დამსვენებლებთა მომსახურების საკმეს.

სერიოზულ ხარვეზებს წაავყოდით დამსვენებლთა მომსახურებაში ახალი ათონის დასასვენებელ სახლ „ფსირცხაში“ (დირექტორი ნ. სიმონია). სასადილოს, რომელიც ორ ცვლაზე 700 კაცს ემსახურება, არ გააჩნია ჭურჭელსარეცხი მანქანა, რის გამოც ჭურჭლის რეცხვა უსარისხოდ და დიდი დაგვიანებით ხდება. სადილის დროს პირველ ჯერძეს სუფრაზე მ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ. 4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ალჟირი ემზადება ზეიმით აღნიშნოს დამოუკიდებლობის 10 წლისთავი. ლირსშესანიშნავი თარიღის გამო ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ბუმედიენმა აქ გახსნა რევოლუციის მუზეუმი, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი ფოტოსურათები და პანოები, რომლებიც ასახავენ ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სხვადასხვა ეტაპს.

დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს კინოთეატრ „ატლასში“ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც არაბეთისა და აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების მსახიობები მონაწილეობდნენ.

კონცერტს დაესწრნენ ჰ. ბუმედიენი, რევოლუციური საბჭოსა და მთავრობის წევრები, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ბ. ᲥᲘᲠᲘᲜᲘᲩᲘᲡ მეთაურობით, აგრეთვე ალჟირში ზეიმზე ჩამოსული სხვა ქვეყნების დელეგაციები.

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ. 5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა დღეს აღნიშნავს თავისი დამოუკიდებლობის მეათე წლისთავს.

ხისტლისმღვრელ ბრძოლაში მოპოვებულმა დამოუკიდებლობამ ფართო პერსპექტივები გადაუშალა ალჟირს. მიწების, ბანკებისა და კომპანიების ნაციონალიზაციის შედეგად, რომლებიც უცხოელებს ეკუთვნოდათ, ალჟირელ ხალხს დაუბრუნდა სიმდიდრე, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიურ გარდაქმნას.

სსრ კავშირის ხელშეწყობით მწყობრში ჩადგა მეტალურგიული კომბინატი ელ-ჰაჯარში, რომელმაც წელს გამოუშვა პირველი ფოლადი, აგებულია ვერცხლისწყლის მწარმოებელი სამთო მეტალურგიული ხაზარმო ისმაილში, ტყვია-თუთიის გამამდიდრებელი ფაბრიკა ელ-ამედში. სულ სხვადასხვა პროფესიის საბჭოთა სპეციალისტები შრომობენ დღეს ალჟირის მიწა-წყალზე.

დიდ მუშაობას ეწევა ალჟირის მთავრობა ქვეყანაში აგრარული რევოლუციის განხორციელებისათვის, რომელიც ითვალისწინებს უმიწაწყლო და მცირე მიწიანი გლეხებისათვის მიწის გადაცემას.

ᲘᲜᲓᲝᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). მოპიკრე თვითმფრინავთა გუნგუნი, ბომბებისა და ყუმბარების აფეთქების ხმა არ წყდება სამხრეთ ვიეტნამის კუნგჩის პროვინციაში. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ჯარები იგერიებენ განთავისუფლებულ რაიონებში 20 ათასზე მეტი საიგონელი ჯარისკაცის შეტევას.

მოწინააღმდეგის ჯარების ორი დაჯგუფება ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის ეხმარდა, ჭერი ცდილობს გაიგრას ქალაქ კუნგჩისაკენ. პატრიოტები ებრძვიან საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებს სანაპიროს ქვიშრობის დიუნებზე ქალაქის აღმოსავლეთით. მთავორიან რაიონში ქალაქის დასავლეთით საიგონელთა საჰაერო დესანტი შეაჩერა განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ძლიერმა ცეცხლმა. მოწინააღმდეგის ძირითადი ძალები უწინდებურად შებოჭილია რაიონული ცენტრის ჰაილანგის მახლობლად.

კუნგჩის პროვინციაში წარმოებულ ბრძოლებთან ერთად პატრიოტებმა გააქტიურეს საომარი მოქმედება სამხრეთ ვიეტნამის სიდიდით მესამე ქალაქის — ჰიუეს დასავლეთ მისადგომებთან. განთავისუფლების ძალების არტილერია ანამის ქედის ტიპინი მთისწინეთიდან ცეცხლს უშენს მოწინააღმდეგის პოზიციებს.

როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატების ავიაცია, მათ შორის მძიმე „ბ-52“ ბომბდამშენები, კვლავ აქტიურად უჭერს მხარს საიგონის ჯარებს — ასოცდა ტონა ასაფეთქებელ ნივთიერებას უშენს კუნგჩის შემოგარენსა და თხიათხიენის პროვინციის დასავლეთ რაიონებს. სააგენტოები იუწყებიან, რომ შეერთებულმა შტატებმა განაახლა ტაინინის პროვინციის დაბომბვა საიგონის ჩრდილო-დასავლეთით 100 კილომეტრზე.

ᲰᲐᲜᲝᲘ. 5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). განთავისუფლების პრესის სააგენტოს ცნობით თანახმად, 2 ივლისს სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა კონტრიერიში მიიტანეს საიგონის საზღვაო ქვეითი ჯარის ქვედანაყოფის წინააღმდეგ, რომელიც კუნგჩის პროვინციაში შეიჭრა № 1 გზის რაიონში. გაფთრებული ბრძოლის მსვლელობაში მარონეტულ ჯარებს დაუზოცეს და დაუჭრეს ჯარისკაცთა ოთხი ასეული. მოწინააღმდეგეს მოუხეს ოთხი ვერტფრინავი, შვიდი ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, სამი მძიმე ქვემები.

ასეთივე ვითარება შექმნა სამხრეთ სამხედრო სექტორში, საიგონის ჩრდილოეთით. № 13 გზის გაყოლებით, მიტოვებულ კაუზუკას პლანტაციებში, საიგონის არმიის მრავალრიცხოვანი ძალები უკვე მესამე თვეა ცდილობენ გაიჭრან ბინლონგის პროვინციის ცენტრისაკენ — ქალაქ ანლოკისაკენ, რომელიც პატრიოტთა ალყაშია. მარტო ივლისში აქ დახოცეს, დაჭრეს და დაატყვევეს მარონეტული არმიის 4 ათასზე მეტი ჯარისკაცი, ჩამოაგდეს 60 ვერტმფრინავი, მოსპეს დაახლოებით 60 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა.

ᲰᲐᲜᲝᲘ. 5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ლაოსის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია ებრძვის მემარჯვენე ძალების ნაწილებს, რომლებიც ცდილობენ შეიჭრან ქვეყნის განთავისუფლებულ რაიონებში.

კაოსან პატეტ-ლაოს საგენერალო მონაცემების თანახმად, 23-დან 30 ივნისამდე ლონგჩენის, ჭხონგსედონისა და სამთხონგ-ლონგჩენგის რაიონებში პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მემარჯვენე ძალებისა და ტაილანდელ-ამერიკელთა 250-მდე ჯარისკაცი.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). შეერთებული შტატები ფართო მასშტაბით განაგრძობს საჰაერო ომს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. როგორც ამერიკის პრესა იუწყება, ახლანდელი თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველაზე ინტენსიურია ინდოჩინეთის მთელი ომის განმავლობაში.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ სანაპირო წყლების სიახლოვეს დაეხეტება ამერიკული ავიამზიდი „კორალ სი“ (სურათზე). მასზე ბაზირებული თვითმფრინავები მეთოდურად იღებენ სტარტს გემბანიდან და ზუსტად ორი საათის შემდეგ, რაც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალტანჯულ მიწას კიდევ ერთხელ დაუშენენ ბომბებსა და რაკეტებს, ცარიელნი უკან ბრუნდებიან.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲩᲐᲚᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲗᲘᲗᲥᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ამერიკის ბრძოლისუნარიანობა ზეიმით აღნიშნეს დამოუკიდებლობის 10 წლისთავი. ლირსშესანიშნავი თარიღის გამო ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ბუმედიენმა აქ გახსნა რევოლუციის მუზეუმი, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი ფოტოსურათები და პანოები, რომლებიც ასახავენ ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სხვადასხვა ეტაპს.

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ. 5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა დღეს აღნიშნავს თავისი დამოუკიდებლობის მეთოთე წლისთავს.

ხისტლისმღვრელ ბრძოლაში მოპოვებულმა დამოუკიდებლობამ ფართო პერსპექტივები გადაუშალა ალჟირს. მიწების, ბანკებისა და კომპანიების ნაციონალიზაციის შედეგად, რომლებიც უცხოელებს ეკუთვნოდათ, ალჟირელ ხალხს დაუბრუნდა სიმდიდრე, რომელიც საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტები მეასრულებენ კოსმოსში საველე სამუშაოთა შესრულების შესაძლებლობის კვლევის ერთობლივ ამოცანას. საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდების მომავალი ერთობლივი ფრენა, აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს ცნობაში, კოსმოსური სივრცის კვლევის დარგში ორი ქვეყნის უფრო ფართო თანამშრომლობის პროგრამის ნაწილია (საკდესი).

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ გამოაცხადა იმ ექსპერიმენტების მიზნები და მოკლე შინაარსი, რომლებსაც საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტები მოაწყობენ საბჭოთა და ამერიკული პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ერთობლივი ფრენის შესრულების დროს.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ხომალდების „აპოლონის“ და „სოიუზ“-ის ერთობლივი ფრენა, ალბათ, მოეწყობა 1975 წელს. ვარაუდობენ კოსმოსური ხომალდი „აპოლონი“ გაუშვან ფლორიდის შტატის კენედის კოსმოსურ ბანაკიდან. რამდენიმე დღის შემდეგ სსრ კავშირში გაუშვებენ პილოტირებულ კოსმოსურ ხომალდს „სოიუზს“. კოსმოსში ხომალდები მოახდენენ მანევრებს დაახლოებისა და შეპირაპირებისათვის, რის შედეგადაც ხომალდები დაახლოებით ორი დღის განმავლობაში იქნებიან შეპირაპირებულ მდგომარეობაში. ამ ხნის მანძილზე კოსმოსური ხომალდის „აპოლონის“ ეკიპაჟი ეწვევა ხომალდ „სოიუზს“, ხოლო საბჭოთა კოსმონავტები გადავლენ ხომალდ „აპოლონზე“.

ᲒᲝᲜᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). აქ დამთავრდა საფრანგეთის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუსა და ზგერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ვ. ბრანდტის ორი დღის მოლაპარაკება. მოლაპარაკებაში მონაწილეობდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟ. შაბან-დელმასი.

„ჩვენ გვქონდა ფრიად შინაარსიანი საუბრები“, — განუცხადა ვ. ბრანდტმა პრესის წარმომადგენლებს. დიდი ყურადღება დავუთმეთ, თქვა მან, ევროპის პრობლემებს — ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თათბირის მოწვევის გეგმებსა და საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ინგლისის, ირლანდიის, დანიისა და ნორვეგიის განზრახვასთან შეუერთდნენ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებას.

როგორც პრესა აღნიშნავს, დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იყო ფინანსურ-სავალუტო პრობლემები, რომლებიც წარმოშვა ამერიკული დოლარისა და ინგლისური გირვანქა სტერლინგის კრიზისმა.

მოლაპარაკებაში არ ყოფილა მიღწეული თანხმობა „საერთო ბაზრის“ წევრი და კანდიდატ ქვეყნების მთავრობათა მეთაურების დონეზე თათბირის მოწვევის ვადების შესახებ.

როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. შეელმა განაცხადა, მხოლოდ ევროპის ეკონომიური გაერთიანების ქვეყნებისა და კანდიდატი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის შემდეგ, რომელიც დანიშნულია 18 ივლისს, გამოირკვევა უმაღლეს დონეზე „ათთა“ შეხვედრის თარიღის დაწესების შესაძლებლობა, აგრეთვე ის, „შეიძლება თუ არა შეიმუშაოს ამ თათბირის ნაყოფიერი დღის წესრიგი“.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე კაკუეი ტანაკა არჩეულია იაპონიის მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ. იგი ამ პოსტზე შეცვლის ე. სატოს, რომელიც მეთაურობს ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიასა და მთავრობას 1964 წლის ნოემბრიდან. სატოს კანდიდატი კ. ტანაკას ეკავა საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის პოსტი.

ლიბერალურ - დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე — პარტიისა, რომელსაც ადგილების უმრავლესობა ეკუთვნის პარლამენტში, ავტომატურად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ხდება. კ. ტანაკას ოფიციალური არჩევა ამ პოსტზე გაიმართება ხვალ.

ᲡᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲐᲗᲝᲜᲘᲗᲘ გემს ააგებენ მიმდინარე ხუთწლედში პოლონელი გემთმშენებლები საბჭოთა კავშირის დაკვეთით. სურათზე თქვენ ხედავთ შეცინის გემთსაშენში 32 ათასი ტონა წყალწყვის მშრალი ტვირთების გადასაზიდის წყალში ჩაშვებას. გემის სიგრძე — 202 მეტრი, სიგანე — 24 მეტრი. გემს ნიკო ნიკოლაძის — ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და ლიტერატურული კრიტიკოსის სახელი ჰქვია.

ცაუ — საკდესის ფოტო.



ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ მიმდინარეობს პრაღა-ბრნო-ბრატისლავას ავტომაგისტრალის მშენებლობა, რომელიც ჩვეულებრივ

ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲕᲐᲜᲚᲘ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ მოსკოᲕᲨᲘ გᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘრᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲜᲘᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ მეᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ მეᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲡ-ᲙᲝᲠᲡᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘრᲘᲡ Ზ. Ა. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ მეᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲡ-ᲙᲝᲠᲡᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ — ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ მეᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ დოᲥᲢᲝᲠᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Ზ. Დ. ᲐᲛᲘᲠᲯᲘᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ მეᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐᲗᲐ დოᲥᲢᲝᲠᲘ Ი. Შ. ᲡᲐᲠᲘᲜᲨᲕᲘᲚᲘ. (ᲡᲐᲭᲘᲜᲤᲝᲠᲛᲝ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐ-ᲑᲐᲠᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲗᲐ ᲤᲘᲪᲘ

ᲛᲐᲠᲯᲕᲔ რა, რომ დასანᲐᲜᲘᲐ ᲨᲝᲛᲝᲚᲝᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ, ᲡᲐᲣᲜᲐᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ-ᲛᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲢᲝᲠᲪ-ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲨᲠᲗᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲩᲠᲔᲑᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘრᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲤᲘᲪᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲬᲕᲘᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲣᲠᲐᲕᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲘᲠᲩ